სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: იურიდიული ფსიქოლოგია (Legal Psychology)
მისანიჭებელი აკადემიური კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის მაგისტრი (MA in Psychology)

პროგრამის ხელმძღვანელი: ვახტანგ ნადარეიშვილი. ფსიქოლოგიის დოქტორი, სამართლის მაგისტრი. თსუ ასოცირებული პროფესორი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამა მოიცავს პროგრამისთვის სავალდებულო და სავალდებულო არჩევით კურსებს. ყველა სალექციო კურსი 5 კრედიტიანია. ამგვარად, პროგრამისთვის სავალდებულო კურსებს ეთმობა 55 კრედიტი (11 საგანი), არჩევით კურსებს 35 კრედიტი (7 საგანი), სამაგისტრო ნაშრომს 30 კრედიტი. სულ - 120 კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1. საერთო სამაგისტრო გამოცდა;
2. გამოცდა ფსიქოლოგიაში;
3. 1) ა) გასაუბრება ფსიქოლოგიაში და ბ) გასაუბრება ინგლისურ ენაში (გასაუბრებისას თარგმნილი ინგლისურენოვანი ტექსტის (ფსიქოლოგია) საფუძველზე. აპლიკანტს შეუძლია თან იქონიოს ბეჭდური ლექსიკონი), ***ან*** 2) ა) გასაუბრება ფსიქოლოგიაში და ბ) ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (წარედგინება ფაკულტეტის ადმინისტრაციას).

პროგრამა განკუთვნილია: ა) ფსიქოლოგიის; ბ) სამართლის; გ) სოციოლოგია-სოციალური მუშაობის (მინიმუმ) ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირებისთვის.

სამაგისტრო პროგრამის აქტუალობა:

ფსიქოლოგიისა და სამართლის მეცნიერებების თეორიული და გამოყენებითი ამოცანების არსებობა და ტრანსფორმაციის ეტაპზე მყოფი სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების კონკრეტული პრაქტიკული გამოწვევები განსაზღვრავს მოცემულ სფეროში მაღალი კვალიფიკაციის ინტერდისციპლინური საუნივერსიტეტო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების აუცილებლობას.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს სტაბილობის, უსაფრთხოებისა და პროგრესისთვის ერთდროულად აუცილებელია ნორმატიული რეგულირების სრულყოფილი სისტემის (სამართალი) და მისი ჯეროვანი გამოყენებისთვის საჭირო, მაღალი სამართლებრივი კულტურის (განწყობების, მოლოდინებისა და სოციალური ნდობის სისტემის მომცველი მართლშეგნება/სამართალცნობიერება) მქონე საზოგადოების არსებობა. მდგრადი განვითარების ამ ორი საყრდენი კომპონენტის სრულყოფაზე, თავსებადობასა და ეფექტურობაზეა მიმართული ფსიქოლოგია–სამართლის მეცნიერება, ანუ იურიდიული ფსიქოლოგია, რომლის სისტემის შემადგენლებსაც წარმოადგენს სამართლის, კრიმინოლოგიური, სასამართლო და პენიტენციარული ფსიქოლოგია.

ფსიქოლოგია–სამართლის საერთაშორისო საზოგადოებების მიერ დეკლარირებულ აქტუალურ ამოცანებზე სამაგისტრო პროგრამის და მის კურსდამთავრებულთა ორიენტაციისთვის აუცილებელია: საქართველოში მეცნიერების მოცემული სფეროს თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზის მოდერნიზაცია და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება; ქვეყნისათვის სპეციფიკურ აქტუალურ პრობლემებზე ორიენტაციის და კონკრეტულ გამოყენებით სფეროებზე კონცენტრაციის დონის გაზრდა; კვალიფიციური სამეცნიერო–პრაქტიკული რესურსის მომზადებისა და ინტეგრაციის ხარისხის ამაღლება. აღნიშნული ამოცანების რეალიზაციას ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამაში ფსიქოლოგია–სამართლის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და დ. უზნაძის განწყობის ორიგინალური ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ტრადიციებზე დაფუძნებული ფსიქოლოგიის საქართველოს სკოლის შესაძლებლობების კომპლექსური გამოყენება.

ზემოაღნიშნულთან ერთად, მოცემული პროგრამის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ ანალოგიური სამაგისტრო პროგრამა არ არსებობს ქვეყნის სასწავლო დაწესებულებებში და შესაბამისად, არ ხდება მოცემული მიმართულებით მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების დაუფლების საფუძველზე ფსიქოლოგიისა და სამართლის მეცნიერებათა თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ–გამოყენებითი პოტენციალის გაერთიანება და ინტერდისციპლინური პროფილის სპეციალისტების მომზადება სამეცნიერო - კვლევითი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი პრაქტიკის სხვადასხვა სფეროსთვის.
- გამოუმუშავოს მაგისტრანტებს პიროვნებისა და მისი ნორმატიული თუ დევიაციური ქცევის აღწერის, ახსნის, პროგნოზირებისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის წარმართვის უნარები.
- მოცემულ სფეროში იმ კონკრეტული სპეციალიზებული ცოდნისა და უნარების შეძენა (ასახულია სწავლის შედეგებში), რომლებიც საჭიროა ფსიქოლოგიისა და სამართლის მულტიდისციპლინური პრობლემების გადაწყვეტისას ორიგინალური მიდგომის შემუშავებისა და შესაბამისი კვლევის ჩატარებისთის, რისთვისაც გამოყენებული იქნება მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევები.
- უფლებადაცვით, სასამართლო, საგამოძიებო, საადვოკატო, რეაბილიტაციურ და საექსპერტო საქმიანობაში მონაწილეობისათვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება;
- კანონშემოქმედებითი და სამართლის ეფექტურობის ამაღლებაზე მიმართული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ–ჩვევების მქონე კადრების მომზადება;
- დანაშაულობის პრევენციასთან, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასთან და რეადაპტაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისთვის სპეციალისტების მომზადება პენიტენციარული სისტემისთვის;
- განათლებისა და აღზრდის სისტემაში წარმოებული სოციალიზაციის პროცესის სრულყოფის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის კადრების მომზადება.

პროგრამის მიზნებს ასევე წარმოადგენს: სტუდენტების მომზადება სწავლების შემდგომი საფეხურისთვის; ფსიქოლოგიისა და სამართლის სფეროს აქტუალური პრობლემებისა და პერსპექტივების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებსა და მეთოდებზე მუშაობაში სტუდენტების ჩაბმა; სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი კომპონენტების ინტეგრაცია.

პროგრამა ეფუძნება შემდეგ სამეცნიერო კონცეფციას:

სოციალური სისტემის სტაბილობის, ეფექტური ფუნქციონირების და განვითარების აუცილებელი პირობაა სოციალური მართვის ინსტრუმენტის – სამართლის ნორმატიული სისტემის სრულყოფილი და ქმედითი ფორმის არსებობა, რაც გულისხმობს მის შესატყვისობას მოცემული ქვეყნის ისტორიულ, კულტურულ და სამართლებრივ ტრადიციებთან, აწმყოს საჭიროებებთან და სამომავლო მიზნებთან. აღნიშნული თავსებადობის უზრუნველყოფა ფსიქოლოგია–სამართლის მეცნიერების კომპლექსური ამოცანაა. გარდა სრულყოფილი ნორმატიული სისტემის არსებობისა, ნორმატიული სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის და არანორმატიული/დევიაციური/დანაშაულებრივი ტენდენციების აღკვეთისა და პრევენციისთვის აუცილებელია „ადამიანის ფაქტორის/განზომილების“ გათვალისწინება, სახელდობრ, საზოგადოების სამართლებლივი კულტურის მაღალი დონის არსებობა, რომელიც შემდეგი კომპონენტებიგან შედგება: ა) სამართლებრივ სისტემასთან დაკავშირებული ქცევითი პრაქტიკები (რაც მდგრადი ქცევითი მოდელების და შესაბამისი უნარ–ჩვევების ფსიქოლოგიური საფუძვლების შექმნას და განმტკიცებას გულისხმობს) და ბ) მართლშეგნება/სამართალცნობიერება (რაც სამართლის ცოდნის, მისი ზედმიწევნით განხორციელების აუცილებლობის ცნობიერების, მის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების, ნორმების სამართლიანობაში დარწმუნებულობის და სამართლისადმი ნდობის ფენომენს მოიცავს). აღნიშნული კომპონენტები ფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნების – დისპოზიციური განწყობების/ათითუდების და ნორმატიული სოციალური მოლოდინების სისტემებს ეფუძნება, რომლებსაც პიროვნება სოციალიზაციის პროცესში ითვისებს. აღნიშნული სისტემების მქონე ადამიანებს მოჰყავთ სამართალი მოქმედებაში და მათი განვითარების ხარისხი და ხასიათი განსაზღვრავს სამართლის ქმედითობას და ეფექტურობას. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი სამართლებრივი კულტურის საფუძვლადმდებარე, მეტწილად ცნობიერების დაბალი ხარისხით მოცემული, სოციალური განწყობებისა და მოლოდინების ფორმირების, აღკვეთისა და შეცვლის კანონზომიერებების შესწავლა და მათი მიმართების დადგენა ქცევის ცნობიერ და ნებელობით რეგულაციასთან. ქცევის როგორც ცნობიერი, ასევე არაცნობიერი საფუძვლების კომპლექსური ცოდნა აუცილებელია პიროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებების სრულყოფილი გააზრებისთვის და აღმზრდელობითი, კორექციული და რეაბილიტაციური სამუშაოების ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის. აღნიშული სამუშაოების წარმატებით შესრულება განსაზღვრავს სოციალურ სისტემაში მოქმედი სოციალური სუბიექტების ქცევის ნორმატიულობის და ასევე, დევიაციური ტენდენციებისა და პრაქტიკის ხარისხს.

სწავლის შედეგი:

დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება: მაგისტრი სიღრმისეულად ფლობს ფსიქოლოგიისა და სამართალმცოდნეობის თეორიულ საფუძვლებსა (კონცეფციები, მეთოდოლოგია, ძირითადი ცნებების განმარტებები, სპეციალური ლექსიკა) და სპეციალიზებულ სისტემურ ცოდნას, რომელიც აუცილებელი ნორმატიული და დევიაციური ქცევის ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტების ორიგინალური და კომპლექსური გააზრებისათვის; მაგისტრი აცნობიერებს სოციალური ნორმებისა და სამართლებრივი კატეგორიების ფსიქოლოგიურ ასპექტებს; აქვს მეცნიერების მოცემული სფეროს აქტუალური ამოცანებისა და მათი ზოგადი სამეცნიერო და პრაქტიკული კონტექსტის გაცნობიერების, ინტერპრეტაციის, პრობლემებისა და პერსპექტივების ხედვის უნარი. სტუდენტი ფლობს იმ მეცნიერულ ხედვას და მიდგომებს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიისა და იურისპრუდენციის პოტენციალის სრულ გამოყენებას და კონკრეტული პრობლემების გაღრმავებული ანალიზისა და ორიგინალური იდეების შემუშავების საფუძველზე მულტიდისციპლინური მიდგომის მაქსიმალურ პროდუქტიულობას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: მაგისტრი სიღრმისეულად ფლობს სოციალური სუბიექტების ადაპტაციური აქტივობის სპეციფიკის შესწავლის ხერხებს ფორმალური და არაფორმალური ნორმატიული სისტემებით რეგულირებულ სოციალურ ურთიერთობათა სფეროში; მაგისტრანტს შეუძლია მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის სინთეზი და კონკრეტულ თემატიკასთან მისადაგება; შეუძლია მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური გამოცდილების გამოყენება მეცნიერების პრაქტიკულ-გამოყენებითი მიმართულებების (მაგ. სამართლის ფსიქოლოგია, კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია, პენიტენციარული და კორექციული ფსიქოლოგია, სასამართლო ფსიქოლოგია, სოციალური მუშაობა, განათლების ფსიქოლოგია) პრობლემატიკის ანალიზისათვის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის. შეუძლია მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად და შემოქმედებითად გამოყენება ნაკლებად დამუშავებულ ან ახალ სფეროში (დევიაციისა და დანაშაულობის პრევენციისა და კორექციის, დევიანტთა რესოციალიზაციის, სამართლის ქმედითობის, კანონის უზენაესობის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის სფერო) უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მოქმედებს/ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიურ–სამართლებრივი მეცნიერებების მიღწევებით სამართლით რეგულირებული სოციალური ურთიერთქმედების კვლევის სფეროში. აქვს მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი

ერთობების ფორმირებისა და ფუნქციონირების, სოციალური სუბიექტების ქცევის მოტივაციური საფუძვლების, სოციალური ინტეგრაციისა და კონტროლის, სოციალიზაციის პროცესის, ნორმატიული, პროსოციალური, დევიაციური და ანტისოციალური ქცევის ფორმირების, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილობისა და პროგრესის ხელშეწყობის სფეროში; შეუძლია აქტუალური პრობლემატიკის სფეროში ახალი ცოდნის და მეთოდიკების შემუშავება, რომელიც ასახავს სხვადასხვა დარგის ინტეგრირებულ პოტენციალს; უნარი აქვს გამოიყენოს მიღბული ცოდნა და გამოცდილება სასწავლო ან პრაქტიკული საქმიანობის სფეროში, რომელიც მოითხოვს ინოვაციას და მოდიფიკაციას ახლებური სტრატეგიული ხედვისა და ორიგინალური კვლევის საფუძველზე.

დასკვნის უნარი: შეუძლია თანამედროვე კვლევის მონაცემთა დამუშავების შედეგად ინფორმაციის მოპოვება, სისტემატიზაცია, კრიტიკული ანალიზი და ინოვაციური სინთეზი; სტუდენტს გააჩნია განსხვავებული მეთოდიკითა და მეთოდოლოგიით მიღბული მონაცემების შეჯერებისა და სამეცნიერო კონცეფციების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დასკვნების ფორმულირების და მათი დასაბუთების უნარი. შეუძლია სამეცნიერო ჰიპოთეზის ფორმირება.

კომუნიკაციის უნარი: სტუდენტს შეუძლია საკუთარი კვლევის შედეგებისა და მოსაზრებების არგუმენტაცია, კვლევის შედეგების საჯარო წარდგენა; ინფორმაციის გაცვლის, ინფორმაციის ასახვის და გადამუშავების, შეკითხვის ფორმულირების, აზრის გამოთქმის გზით საკუთარი მოსაზრებისა თუ პოზიციის დაფიქსირება. სტუდენტს აქვს სამეცნიერო დისკუსიის წარმოების კულტურა და შეუძლია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. სტუდენტს აქვს გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვის, პასუხისმგებლობის განაწილებისა და კოლეგიალური კეთილსინდისიერების კომუნიკაციის პროცესში გამოყენების პრაქტიკა.

სწავლის უნარი: სტუდენტს აქვს საკვანძო საკითხებზე კონცენტრირების, ინფორმაციის მოპოვებისა და ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების უნარი; აქვს ინტერდისციპლინური ინფორმაციის შეჯერებისა და სისტემატიზაციის გამოცდილება; შეუძლია სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და მასზე მუშაობა, ანალიტიკური აზროვნება და შეფასებების ფორმულირება. შეუძლია სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის დაგეგმვა, დამოუკიდებელი მუშაობა და დასწავლის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება; აქვს დროის ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი; დამოუკიდებლად შეუძლია მასალის ორგანიზება და სტრუქტურირება; სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის კომბინირება და ინტეგრირება.

ღირებულებები: პროგრამა ორიენტირებულია შემდეგ ღირებულებათა დამკვიდრებაზე: კოლექტიური სამეცნიერო საქმიანობის, კვლევის წარმოებისა და შედეგების მიმართ პასუხისმგებლობისა და კეთილსინდისიერების აუცილებლობის გათვითცნობიერება და შესაბამისი ნორმების დაცვის ჩვევების განმტკიცება. ადეკვატური და მიუკერძოებელი შეფასებისა და თვითშეფასების ფასეულობის გაცნობიერება საკუთარ და სხვათა ღირებულებების ანალიზის და ახალ ღირებულებათა მიმღებლობის საფუძველზე. სტუდენტს ათვისებული აქვს პროფესიული ეთიკის ელემენტები – შეხედულებების სისტემა საავტორო უფლებების, კოლეგიალობის, სამეცნიერო საქმიანობაში კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ლექცია და სემინარი; პრეზენტაცია; ინდივიდუალური კონსულტაციები;
2. დისკუსია/დებატები
3. ჯგუფური მუშაობა - ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. ამგვარი პრაქტიკა უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.
5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
6. გონებრივი იერიში - კონკრეტული თემის ფარგლებში პრობლემის შესახებ აზრის, იდეის, მიდგომის ჩამოყალიბების და შეუზღუდავად გამოთქმის ხელშეწყობა.
7. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.
8. ახსნა–განმარტებითი მეთოდი.
9. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – პროფესორისა და სტუდენტის აქტიური ჩართულობა სწავლების პროცესში თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაციის მეშვეობით;
10. წერითი მუშაობის მეთოდი – მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს მომზადება და სხვა მეთოდები, რომლებიც საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ. ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ. ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულით, აქედან:

1. რეცენზენტის შეფასება – 50 ქულა;
2. ხელმძღვანელის შეფასება – 20 ქულა;
3. პრეზენტაციის შეფასება – 30 ქულა;

სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

1. საპრეზენტაციო ტექსტის სტრუქტურა - 7 ქულა;
2. მოსაზრებათა არგუმენტირებულად გადმოცემა -10 ქულა;
3. კვლევის მიზნებისა და შედეგების/დასკვნების შესაბამისობა - 8 ქულა;
4. რეგლამენტირებულობა (12-15 წთ), ენობრივი გამართულობა -5 ქულა.

დასაქმების სფეროები. მაგისტრანტს შეუძლია იმუშაოს:

1. შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულების სამინისტროების, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სპეციალური პენიტენციარული სამსახურის, პროკურატურის, სასამართლო სისტემის, სახალხო დამცველის აპარატის შესაბამის დეპარტამენტებსა და ცენტრებში;
2. კერძო იურიდიულ კომპანიებში.
3. უფლებადაცვითი, სარეაბილიტაციო, ძალოვანი და სამართალდამცავი უწყებების თემატიკაზე ორიენტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებში;
4. აკადემიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურს-ცენტრი და ბიბლიოთეკა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზა და ელექტრონული რესურსები.

დამატებითი ინფორმაცია: პროგრამას შეუძლია მოემსახუროს 10 სტუდენტს.

პროგრამის ანალოგები:

1. Mastaricht University. Maastricht, The Netherlands

master's programme Psychology and Law

http://www.maastrichtuniversity.nl/web/Faculties/PsychologyAndNeuroscience/TargetGroup/ProspectiveStudents/MastersProgrammes/Psychology/Specialisations/PsychologyAndLaw.htm

2. University Of Cumbria UK

MSc in Legal and Criminological Psychology

http://www.cumbria.ac.uk/Courses/Subjects/LawSocialScience/Postgraduate/LegalAndCriminologicalPsychology.aspx

3. Kingston University UK

Criminological Psychology MA

http://www.kingston.ac.uk/postgraduate-course/criminological-psychology-ma/

4. Marymount University USA

Forensic & Legal Psychology (M.A.)

http://www.marymount.edu/Academics/School-of-Education-Human-Services/Graduate-Programs/Forensic-Legal-Psychology-(M-A-)

5. The University of Nottingham United Kingdom

Forensic and Criminological Psychology MSc

https://www.nottingham.ac.uk/pgstudy/courses/medicine/applied-psychology/forensic-and-criminological-psychology-(by-research)-msc.aspx

6. University of Gloucestershire | Cheltenham, United Kingdom

M.Sc. Criminological Psychology

http://www.mastersportal.eu/studies/13333/criminological-psychology.html#tab:contents

7. MOSCOW STATE UNIVERSITY OF PSYCHOLOGY AND EDUCATION

Master's program "Juvenile Legal and Forensic Psychology" http://jp.mgppu.ru/en

8. People's Friendship University of Russia

Legal Psychology (M.A.) http://www.rudn.ru/?pagec=3692

სამაგისტრო პროგრამის **დანართები:**

1. სასწავლო გეგმა;
2. პროგრამის სილაბუსები (დანართი 1);
3. პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (დანართი 2, CV);
4. აპლიკანტთან გასაუბრების კრიტერიუმები.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ფსიქოლოგიის დეპარტამენტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **იურიდიული ფსიქოლოგია**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ვახტანგ ნადარეიშვილი, ასოცირებული პროფესორი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)									
სამაგისტრო პროგრამა შედგება 85 სავალდებულო კრედიტისგან (მათ შორის: 55 კრედიტი სალექციო კურსები, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი); არჩევითი კურსები 35 კრედიტი (ECTS).									
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი			შემოდგომა	გაზაფხ	
სავალდებულო კურსები: 55 კრედიტი									
1.	სამართლის ფსიქოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		2	ვ.ნადარეიშვილი
2.	კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	3		ვ.ნადარეიშვილი

3.	სოციალური თეორიები: კლასიკური და თანამედროვე მიდგომები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		2	ა. ბერძენიშვილი
4.	სტატისტიკური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	1		ქ. მანჯგალაძე
5.	განწყობის თეორია თანამედროვე მეცნიერების კონტექსტში	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	1		ვ.ნადარეიშვილი
6.	მოზარდთა პრობლემები და მშობელთა კონსულტირება	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		2	მ.მელიქიშვილი
7.	საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	3		მ.წერეთელი ლ. ხოჯანაშვილი
8.	დიფერენციალური ფსიქოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	3		ხ. მარწყვიშვილი
9.	კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	1		ლ. სურმანიძე

10.	ჯგუფთაშორისი კონფლიქტები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	3		მ. დესპოტაშვილი
11.	სამართლის თეორია	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	1		ლ. ჯანაშვილი
არჩევითი კურსები: 35 კრედიტი									
1.	სოციალური ფსიქოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	1		რ. ქვარცხავა ე.მაღლაკელიძე
2.	ფსიქომეტრია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	1		ი. კუტალაძე
3.	ფსიქიატრიის საფუძვლები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	5		ა. ბეგიაშვილი ნ. ბადრიშვილი
4.	პიროვნების ფსიქოლოგია: თეორია და კვლევა	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	3		ი. ჟვანია

5.	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS საშუალებით	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		2	ც. ხუნდაძე
6.	სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		2	ვ.ნადარეიშვილი
7.	კულტურათა ტიპოლოგია: ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	3		ლ. სურმანიძე
8.	ფსიქოლოგის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	3		ლ. არუთინოვი თ. ბანძელაძე
9.	ჯანმრთელობის ფსიქოლოგია	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	1		ნ.სუმბაძე
10.	ემოცია და კულტურა	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	3		თ. აბაშიძე
11.	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		2	ლ.სურმანიძე

12.	ძალადობის ანთროპოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	3		ქ. ხუციშვილი
13.	პიროვნების ფსიქოლოგიური შეფასება პენიტენციარულ სისტემაში	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	3		ლ. არუთინოვი
14.	კრიმინოლოგია	**5**	30		95	წინაპირობის გარეშე	3		მ. შალიკაშვილი
15.	სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითადი ინსტიტუტები	**5**	30		95	წინაპირობის გარეშე		2	მ. შალიკაშვილი
16.	სუბკულტურა – თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	1 ორშაბათი თსუ 2 კორპ #163 20-21 სთ		ლ.წულაძე
17.	სოციალური სამართლიანობის თეორიები	5							ნ. ფარსადანიშვილი

	სამაგისტრო ნაშრომი	30						4	